

მის. წერეთელი

ივანე ჯავახიშვილი

სიტყვა წარმოთქმული ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ქართველთა

კოლონიის კრებაზე ბერლინში 5 იანვარს 1941 წ.

146-1

ივანე ჯავახიშვილი

„ივანე ჯავახიშვილი ბარდაიცვალა!“ — ეს საზარელი ამბავი მომესმა ამ რამოდენიმე კვირის წინად და ლახვარით მეცა გულს, და, ვეჭვობ, მან ყოველი ქართველის გული ისევე განვმირა, როგორც ჩემი, —ყოველი ქართველისა, რომელმაც იცის, თუ ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი. არ ვამბობ „პროფესორი ივანე ჯავახიშვილი“, მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი“, არამედ მას მისი სახელითა და გვარით ვიხსენიებთ, ვინაიდან იგი ერთი იყო, როგორც ილია ჭავჭავაძე ერთი იყო, და როგორც ამ უკანასკნელის სახელთან და გვართან დიდი რამ იყო შეერთებული და მათ გაგონებაზედ ქართველს ეს „დიდი“ წარმოუდგებოდა თვალის წინ, ისე ივანე ჯავახიშვილის სახელი აღუმართავს მის გონებას წინ ხატს დიდი ინტელექტისა, საქართველოს წარსულის დიდი მკვლევარისა, უდიდესი ენერჯის ჭურჭლისა და უდიდესი პიროვნებისა, რომელიც საქართველოს მიწაზედ დაიბადა და მარადის მის დიდებად ჩაითვლება. ივანეს ტიტულები დიალაც ბევრი ჰქონდა—იგი იყო პროფესორი, აკადემიკოსი, როგორც მეცნიერი, დიდი ხნის განმავლობაში რექტორი უნივერსიტეტისა, როგორც აკადემიური თანამდებობის მქონე და სხვა; მაგრამ რაოდენი ყოფილა აკადემიკოსიც, პროფესორიცა, უნივერსიტეტის რექტორიცა, მაგრამ იგი ივანე ჯავახიშვილი არ ყოფილა, და ამიტომ განვიცდით მის დაკარგვას მწარედ ის ქართველნი, რომელნიც ვიცნობდით ივანეს, რომელთაც არა მხოლოდ ვიცოდით მისი არაჩვეულებრივი დედაწლი ქართული მეცნიერების წინაშე და შეგვეძლო დაგვეფასებია იგი, არამედ შეგვეძლო აგრეთვე განგვეცადა და გვეგრძნო სიდიდე, ძლიერება და სიწმიდე მისი პიროვნებისა.

ივანე ჯავახიშვილი ისტორიკოსი იყო, საქართველოს ისტორიკოსი. ბევრს შეიძლება ადვილი რამე ეგონოს საქართველოს ისტორიკოსობა, და მახსოვს კარგად, ეგონა კიდეც საქართველოში, როდესაც ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი პირველად წარუდგა ქართულ საზოგადოებას წინ ამ ოც-და-ხუთმეტი წლის წინად. მას რომ საფრანგეთის ისტორიითგან წაეკითხა თავისი პირველი ლექციები თბილისში, იმ საზოგადოების ერთი ნაწილისათვის მას უფრო მეტი სიმძიმე ექმნებოდა, —ისე უცნაური და უარისი იყო მაშინ ჩვენში ბევრის საზომი კაცის მოღვაწეობის და საქმის დაფასებისა.

ერი ცოცხალი არსებაა, მსგავსი ადამიანის პიროვნებისა მით, რომ ერთი ერი განსხვავდება მეორისაგან, როგორც ერთი ადამიანის პიროვნება მეორისაგან. ხოლო ეროვნული პიროვნება დიდად განსხვავაობა ადამიანის პიროვნებისაგან მით, რომ მისი წარმოშობა, ცხოვრება, სიგრძე და მიმდინარეობა ცხოვრებისა სხვა მოვლენანი არიან, ვიდრე დაბადება და ხანმოკლე ცხოვრება ადამიანისა. და ამიტომ ისტორია ერისა არ არის მსგავსი ცალკე

პიროვნების აღწერისა. პოვნა ერის ძირებისა, მისი რასიული შემადგენლობისა, რომელსაც ისეთ დიდი მნიშვნელობა აქვს მის სულიერ თვისებათა შექმნისათვის, წარმოშობა თავის-შემგნები ეროვნული ორგანიზმისა განსაზღვრული სისხლითა, განსაზღვრულ პირობებში, ცხოვრება და შემოქმედება მისი საუკუნეთა სიგრძეზედ, განწყობილება მისი სხვა ერებთან, ბრძოლანი მისნი დასახულ მიზანთათვის, ბედი მისი, —აი რა უნდა იკვლიოს ისტორიკოსმა, და ცხადია, რაოდენი ცოდნა უნდა ჰქონდეს ერთა ისტორიის მკვლევარს და რაგვარი ფრთხილი და მკაცრი კრიტიკა გონებრივ საჭურველად, რომ მიახლოვებით მაინც სწორად წარმოგვიდგინოს ერის თავზედ გარდავლენილი დასაბამითგან განსაზღვრულ ჟამამდე მისი რთული და ცვალებადი ცხოვრებისა, მისი შემოქმედების ღირებულება და მისი როლი სხვა ერთა კრებულთა ან მთელი კაცობრიობის ცხოვრების შეუჩერებელ მიმდინარეობაში.

ისტორიკოსი არ არის ბუნებას-მეტყველი, რომელიც ბუნების მარად განმეორებულ მოვლენათ აკვირდება და ამით მის კანონთ აღმოაჩენს, განმზომელი განსაზომ ოდენობათა, და არც ისტორია ერთა შეედრება დენას მდინარისა, რომელიც მაინც განსაზღვრულ ვიწრო კალაპოტში სდის საუკუნეთა განმავლობაში მონოტონურად, ხშირად რომ ნაპირებიდანაც გადმოვიდეს იგი, ანუ შეიცვალოს მან კალაპოტი და რაოდენობა და ფერი წყლისა სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ადგილს, არამედ იგი არის აღწერა და გაგება მრავალ მოვლენათა, რომელნიც ერთხელნი არიან, განუმეორებელნი და ინდივიდუალური, რთულნი და რთულ მიზეზთაგან წარმოშობილნი, —მოვლენანი ერთა, ამ განსაკვიფრებელ, მრავალთაგან შემდგარ ცოცხალ ერთეულთა ცხოვრებისა.

და თუ კულტურული კაცობრიობის ერთი რომელიმე წევრის ისტორიის კვლევა წარმოადგენს მეტს ინტერესსა და სიძნელეს, ვიდრე მეორისა, ქართველი ერის ისტორიის დიდი ღირსების ადგილი უნდა ეჭიროს ამ მხრით საისტორიო მეცნიერებაში:

ქართული ენა, ანუ ენათა ჯგუფი ქართველ ტომთა, ქართული, სვანური და ჭან-მეგრული, რომელთაც ერთი, ძირი აქვსთ წარმოშობისა, უდიდესი პრობლემა იყო ენათ-მეცნიერებისა ყოველთვის და არის დღესაც, ვინაიდან მისი ნათესაობა ენათა სხვა ჯგუფებთან არა სჩანდა და დღესაც, მრავალი კვლევის შემდეგ, მხოლოდ ერთ ენასთანა სჩანს, რომელიც ათას წელთა წინად იყო უკვე დაკარგული, მაგრამ სწორედ იმ ენით — ეგრედ წოდებული სუმერულით მეტყველობდნენ სუმერნი, დამწყებნი დამოუკიდებლად ეგვიპტელთა კაცობრიობის კულტურისა სამხრეთ ბაბილონეთში.



ქართველთა ტომნი, მეტყველნი იმ ენებით, რომლებსი კრებული მეცნიერებამ მისი ნათესაობის გამოურკვეველობისა გამო დამოუკიდებლად აღიარა, აგრეთვე რასიულ თვისებათა მხრით არიან დიდი პრობლემა დღესაც რასათა მეცნიერებისათვის. განსაზღვრულ რასასთან ან რასათა განსაზღვრულ შემადგენლობასთან არიან შეკავშირებულნი განსაზღვრულნი სულიერნი თვისებანი ერთა, და ამ მხრითაც ქართველი ერის სულისა, მისი კულტურის კვლევა უდიდეს ინტერესს წარმოადგენს მეცნიერისათვის, და არა-მეცნიერისათვისაც შედეგი ასეთი კვლევისა ბევრ თვისებას ქართველის ბუნებისა ახსნის და გასაგებად ჰყოფს. — ცნობანი ქართველ ტომთა შესახებ გაბნეულნი არიან უძველეს ერთა და შემდეგ ბერძენთა და რომაელთა მწერლობის ძეგლებში, და მათი შესწავლის შემდეგ შეუძლია მხოლოდ მეცნიერებას ნათელი მოჰფინოს რაოდენადმე მაინც საკითხს ქართველ ტომთა პირველი ბინადრობისა და მოძრაობისა, ვიდრე ისინი დაემკვიდრებოდნენ იქ, სადაც იყო ძველი საქართველო და არის შემცირებული დღევანდელი, და აგრეთვე მათი უძველესი კულტურისა და როლისა უძვილესი კულტურული კაცობრიობის ისტორიაში.

ქართული წარმართული სარწმუნოება, ქართული მითოლოგია, ქართულნი თქმულებანი ემსგავსებიან ბერძნულთ, საზოგადოდ ხმელთა-შუა-ზღვის ხალხთა და 'ხვეუძველეს სარწმუნოებათა და თქმულებათა, და აქაც მეცნიერებას მრავალი შრომა გაუწევია, რომ გამოერკვია, თუ სად იყო აკვანი ამა თუ იმ სარწმუნოებრივი წარმოდგენისა ან მითოსისა, — კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, და იქითგან შეთვისებული ყოფილან იგინისხვათა მიერ, თუ წინა-უქმო.

და თვით საქართველო, ე. ი. განსაზღვრულ მიწა-წყალზედ დამკვიდრებული ერი ქართველთა, პოლიტიკურად მცხოვრები და თვისი პიროვნების შეგნებისა და მიზანთა მქონე და საკუთარი კულტურის შემოქმედი, — ესეც დიდი ხნიდან იყო საგანი მეცნიერების ინტერესისა საქართველოს შიგნით და გარეთ. ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემა ბევრმა სპეციალისტმა სცადა გადაეწყვიტა, — ანბანისა, რომელიც თითქოს სხვა ანბანთა ჰგავს და ნასესხებად სჩანს, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ორიგინალური და, შეიძლება ვთქვათ, უსრულესია ყველა ანბანთა შორის, რათგანაც ყოველი ქართული ბგერა ერთი დასრულებული ფორმის მქონე ნიშნით აღინიშნება, მაგრამ ბევრი მეცნიერი ამ პრობლემის ტრადიციულ გადაწყვეტას დიდხანს ვერ გასცილდა. — ქართული ქრისტიანობა და ეკლესია ერთი დიდი განსაკუთრებული მოვლენა იყო ევროპისა და აზიის საზღვარზედ, კავკასიაში, და ისეთ დიდი მეცნიერი ღმრთის-მეტაიოლი, როგორც იყო გერმანელი ჰარნაკი, დიდად აფასებდა მათ, როგორც განსხვავებულთ საქართველოს მეზობელ ერთა ქრისტიანობისაგან: უკვე აღრე ჩამოცილება ქართული ეკლესიისა აღმოსავლეთის ქრის-

ტიანობისაგან და მისი ბერძნული, ე. ი. ევროპული ორენტიანი, რომელიც ერთი დიდ პირობათაგანი იყო საქართველოს შესწავლისა ევროპის კულტურულ სფეროში, განსაკუთრებული იდეალები ქართველ ბერთა, რომელთა მოღვაწეობამ საქართველოში და საქართველოს გარედ, მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით საბერძნეთის აღმოსავლეთში, მარადის წარუშლელი კვალი დასტოვა, — მოღვაწეობა, შესაძლებელი საქართველოს პოლიტიკურ ძლიერებაზედ დაყრდნობით, საფუძვლის შემქმნელი ქართული სულიერი კულტურისა, რომელიც აგრეთვე ორიგინალურია და განირჩევიდა თვით კონფესიონალურად მონათესავე ერთა კულტურისაგან, მიუხედავად ყოველ გვარ „გავლენათა“, — ესეც უაღრესად საინტერესო საგანი იყო კვლევისა ყოველთვის და დარჩა დღესაც, რათგანაც საგანი დიდია და საკვლევი კიდევ ბევრი რამ. — ქართული მწერლობა, რომლის ისტორია მეხუთე საუკუნიდან იწყება და მრავალ დარგად განიყოფება ქართული კულტურული ცხოვრების სირთულის მიხედვით, აგრეთვე თავისებურია. თვით ჰაგიოგრაფიული მწერლობაც რომ ავიღოთ (ე. ი. აღწერა წმიდათა ცხოვრებისა), ვერც ერთი ამ დარგის სხვა ერთა მწერლობა ვერ შეედრება ქართულს, ბერძნულიც კი ვერა — ვერც ერთ, ვერც ისტორიულ ცნობათა სიმდიდრით. ეს დაინახა და აღიარა დიდმა ბელგიელმა ორიენტალისტმა პეტერსმა, როდესაც მან ქართული ენის ღრმად შესწავლის შემდეგ ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა შეისწავლა და ლათინურად სთარგმნა გიორგი მერჩულის, გიორგი მთაწმიდელისა და სხვათა დიდებულნი თხზულებანი. უაღრეს ხარისხამდე განვითარებული ქართული სამწერლო ენა, თვით შარავანდელობის მქონე, სიცოცხლით სავსე მოთხრობა მართალ ამბავთა, აღწერა განსაზღვრული ეამის პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობისა, აი რა აძლევს უაღრეს დირსებას ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას, და თუ იქ სასწაულებია ბოლოში მოთხრობილი, ეს აუცილებელი კუთვნილებაა ყოველი ამგვარი თხზულებისა, რომელსაც შეიძლება თვით დამწერიც დიდ მნიშვნელობას არ აწერდა. ქართული მწერლობა ისტორიული შინაარსისა რა მეთოდითაც იწერებოდა, რა პასუხის-მგებლობით შთამომავლობათა წინაშე, რა სიყვარულით სიმართლისა, ამას აფასებს ყველა უცხოელი და ქართველი, ვისაც ამ მწერლობის შესწავლისათვის ოდესმე თავი შეუწყუხებია. და საერო სიტყვა-კაზმული მწერლობა ქართული კი ერთხელია მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთში: ასეთი არ ჰქონიათ არც სომხებს, არც ბერძნებს, არც სირიელებს, და რაოდენადაც არ უნდა მიაწერონ სპარსულ და არაბულ გავლენას ამ მწერლობის წარმოშობა და აყვავება ჩვენში, იგი მაინც სრული ნაყოფია ქართველი ერის ხელოვნებითი ნიჭის შემოქმედებისა და იმ სოციალური წყობილებისა, რომელიც საქართველომ აგრეთვე განსხვავებული შექმნა სხვა მეზობელ ქრისტიან ერთაგან. თვარა, მაგალითად, სომხებზედ



კიდე მეტი იყო სპარსულ-არაბული გავლენა, მაგრამ არც ვფხვის ტყაონანი დაუწერია სომეხს აროდეს, და არც სპარსელს ისეთი რამ, რომლის წაბაძვაც „ე-ტ“-ი იყოს. და ეს ქართული მწერლობა უყვარდათ უცხოელებსაც, ვინც იგი იცოდა, და სწავლობდნენ და იკვლევდნენ მას, რათგანაც ხედავდნენ დიდ ღირებულებას მისას, და მხოლოდ უვიცთ შეეძლოთ ეთქვათ ბროსისათვის მისი საქართველოთგან დაბრუნების შემდეგ პეტერბურგში 1849 წელს: დააცალიერე ერთი ტომარა შენგან ჩამოტანილ ქართულ ხელ-ნაწერთა და გათავდა, მეტი აღარა დარჩება რა საკვლევიო! მაგრამ მას შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე გავიდა, დრონი იცვალნენ, ქართული მწერლობა უფრო დიდი გამოვიდა, ვიდრე მათ ეგონათ, და მას სხვა მკვლევარნიც აღმოუჩნდნენ. — ქართული ხელოვნება, განსაკუთრებით ხუროთ-მოძღვრება, — იგიც არ არის მტკნარი წაბაძვა უცხოეთითგან შემოსული ხელოვნებისა, არამედ უაღრესად ორიგინალური შევნიერი, რომელსაც არა ერთი და ორი უცხოელი მცოდნე ხელოვნებისა განუცვიფრებია და აღუტაცებია. გერმანელი მეცნიერი ხელოვნებისა შტრიგოვსკი იკვლევდა სომხურ ხუროთ-მოძღვრებას და სამართლიანად აღნიშნავდა მის გავლენას ბიზანტიისა და აქეთგან თვით რენესანსის ხუროთ-მოძღვრებაზედაც, მაგრამ ქართული ხუროთ-მოძღვრების შესწავლამ ნათელ-ჰყო, რომ „სომხური სტილი“ შტრიგოვსკისა საქართველოშია დაბადებული და მისი უძველესი ძეგლი მცხეთის ახლო ჯვარის ეკლესიაა. ეს არაფრად ესაბამონა შტრიგოვსკის და ძალიან გაუწყრა გ. ჩუბინაშვილს მის დასკვნათათვის, მაგრამ ჭეშმარიტებას ისეთ მნიშვნელობის მეცნიერნიც ვერ დამალავენ, როგორც შტრიგოვსკია. — ისეთივე უნათესავოა ქართული მუსიკა, როგორც ქართული ენა, იგი არც ე.წ. აღმოსავლურსა ჰგავს (სპარსულს) და არც ე. წ. ევროპიულს. რთული, ღირსეული და შევნიერი როგორც საერო ისე სასულიერო, იგი ყოველ მკვლევარს მუსიკის მეცნიერებისა და ყოველ ხელოვანსაც მუსიკისა უდიდეს ინტერესს უღვიძებს და მის მუსიკალურ მოთხოვნილებასაც უაღრესად აკმაყოფილებს, და გასაკვირველი არ არის ამიტომ, თუ ბევრი არა ქართველი სპეციალისტი მუსიკოსი მეცნიერი სწავლობდა და სწავლობს ქართულ მუსიკას. და თვით აღმოსავლეთ-სამხრეთი ევროპის რასიულ პრობლემათა გამოსარკვევად შეიქმნა უკანასკნელად ქართული მუსიკა დიდ მნიშვნელოვანად. და ბევრი რამ ქართული არის კიდე მნიშვნელოვანი და საყურადღებო საზოგადოდ მეცნიერებისათვის. — და ბოლოს თვით ბედი ქართველი ერისა, — პროცესი მისი ერთად გახდომისა სულიერ-კულტურულად, შინაგანი და გარეგანი ბრძოლა პოლიტიკური ერთობისათვის და ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის, სოციალური წყობილება საშუალო-საუკუნეთა საქართველოსი, რომელიც ძლიერ ემსგავსება ევროპისას და არა საქართველოს მეზობელ ერთა, და ისე, რომ შეუძლებელია აქ ევროპის გავლენისა-

თვის ეჭვი, დრონი დაცემისა და აყვავებისა, რთულ მართლ-ობათა მიერ სახე-დებულნი, როლი საქართველოში გარემო საერთაშორისო ცხოვრებაში, რომელიც ყოველთვის აგრეთვე თავისებური და მნიშვნელოვანი იყო, — მთელი ერის ცხოვრების ხედვა მისი ცვალებადობით საუკუნეთა სიგრძეზედ, ბოლოს მისი შესაძლებელი იმედებისა, მისი მომავლისა — წარსულისა და აწმყოს განჭვრეტით, — ესეც მართო ქართველთ არ ინტერესებდა, არამედ უცხოთაც, და იმიტომ, რომ ყოველივე ესე მნიშვნელოვანი და ინტერესის ღირსია ერთა ცხოვრების მკვლევართათვის.

მომიტყვეთ, ბატონებო, თითქოს ივანე ჯავახიშვილს აქ გვერდი ავუხვიე და სხვა რაზედმე დავიწყესაუბარი. მაგრამ არა, ესე ყოველი ივანე ჯავახიშვილისათვის არის. ეს არის საზომი მისი ღვაწლისა, რომელიც იმოდენად დიდია ქართული მეცნიერების და საზოგადოდ მეცნიერების წინაშე, რაოდენადაც მრავალნი არიან და რთულნი საკითხნი ქართველი ერის რაობისა და ისტორიისა, რომელთა გაგებისა და შესწავლისათვის არავის არ გამოუჩენია და შეუწირავს იმოდენი ენერგია გონებისა, როგორც ეს შესძლო ივანე ჯავახიშვილმა.

ივანე ჯავახიშვილს, როგორც მოდერნულ მეცნიერს, ჰყავდნენ რასაკვირველია წინამორბედი საქართველოს მეცნიერების სხვა და სხვა დარგში, — ქართველნიცა და უცხოელნიც: მარი-ფელისიტე ბროსეს, დ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ნ. მარრი, ე. თაყაიშვილი და სხვანი. მაგრამ ბროსეს ინიციატორი იყო მეცნიერული იბერიოლოგიისა და არმენოლოგიისა და მისი უმთავრესი ღვაწლი იბერიოლოგიის წინაშე ბოლოს და ბოლოს „ქართლის ცხოვრების“ გამოცემა და ფრანგული თარგმანია; ჩუბინაშვილი და მასზედ გაცილებით მაღლა მდგომი ალ. ცაგარელი უფრო ფილოლოგები იყვნენ და, მიუხედავად თვით ალ. ცაგარლის ღვაწლისა ძველი ქართული მწერლობის კვლევის დარგში, მათი მონაწილეობა ქართული საისტორიო მეცნიერების შექმნაში სუსტი იყო. დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი და თ. ჟორდანია თავისუფალნი მოხალისენი იყვნენ მეცნიერებისა. მათ მიერ გამოცემული ძველი ქართული ტექსტები ხელ-ახლად არის გამოსაცემი უმეტეს ნაწილად, ხოლო დ. ბაქრაძის და მ. ჯანაშვილის ცდა საქართველოს ისტორიის დაწერისა, მხოლოდ ცდად დარჩა, მათნი შრომანი არც სრულ ისტორიას წარმოადგენენ საქართველოსას და მრავალ ნაკლთა შემცველნიც არიან. ექვთიმე თაყაიშვილი დიდი შემკრებელი იყო ძველი საქართველოს მწერლობისა და ხელოვნების ძეგლთა, გაცილებით უფრო მეტის შემძენი ჩვენ ეროვნულ საგანძურთათვის, ვიდრე შემოხსენებულნი მეცნიერნი, აგრეთვე მის მიერ გამოცემული ტექსტები და ცალკე გამოკვლევანი დიდი მნიშვნელობისანი არიან, მაგრამ მხოლოდ მასალა საქართველოს ისტორიისათვის. ბოლოს მარრიც არ იყო ისტორიკოსი, არამედ ფილოლოგი, რომელიც არქეოლოგიის



დარგშიაც იღვწოდა. მისი თეორიები ენათ-მეცნიერებისა საზოგადოდ და განსაკუთრებით ქართული ენათ-მეცნიერებისა საჩიყნოდ გახდენ ცნობილი, ხოლო მის მიერ გამოცემული ძველი ქართული ტექსტები მეცნიერების ბატონის ნამოქმედარია და მისი კრიტიკული გამოცემა ტექსტებისა არა ჰგავს სხვა შემოხსენებულ ჩვენ ფილოლოგთა მიერ ტექსტების გამოცემას. მაგრამ, განვიმოვრებით, მარტივ მხოლოდ ფილოლოგი იყო ბ. ...-ის და ბოლოს და რაოიწიობაც მის მიერ გამოცემულ ტექსტთა მცირეა, და წმიდა. ისტორიული მნიშვნელობა მხოლოდ ერთ მათ ნაწილს აქვს.

ამგვარად, ივანე ჯავახიშვილს ძლიერ მცირე შვილით წინააღმდეგადად უნდა გაეგებდა საქართველოს ნამდვილი და სრული ისტორიის დაწერა, რაისათვისაც ღრმა და ახალ მასალათა შეკრებით შესწავლა იყო საჭირო ყველა იმ დარგისა, რომელიც შემოთ მოვიხსენიეთ და ურომლისოდაც ისტორია ერისა მოდერნულ მოთხოვნილებათა მიხედვით არ დაიწერება. და ივანე ჯავახიშვილმა თავისი გონების გიგანტურ მხრებზედ აიკიდა ეს უზარ-მაზარი ტვირთი, რომელიც მან მთელი მისი კეთილშობილი ცხოვრების განმავლობაში ღირსეულად, ნაყოფიერად და ბრწყინვალედ ჰზიდა.

როგორც მისაჩვენებელი იმ დიდი მიზნისა, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა დაისახა, საჭირო იყო, მან მრავალმხრივი და საფუძვლიანი განათლება მიიღო. იგი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზედ, და რასაც მას ეს მეცნიერთა შემადგენლობითა და სხვა მხრით მდიდარი უნივერსიტეტი ვერ მისცემდა, ამ დანაკლისს იგი იყვებდა გერმანიის უნივერსიტეტებში. მან მარტან შესწავლა ზედ-მიწვენივით ძველი ქართული ენა (რაიცა ბევრს ქართველს ძალიან ადვილი საქმე ჰგონია, სრულიად შეცდომით) და სომხური, ხოლო ებრაული, არაბული, სპარსული და სირიული სხვა ორიენტალისტებთან პეტერბურგისა და კონიგსბერგისა. მან განაღრმავა თავისი ცოდნა ლათინურისა და ბერძნულისა, ასე რომ მან იცოდა თითქმის ყველა ენა საჭირო საქართველოს ისტორიის წყაროთა მკოდნეობისათვის, და იმდენად საფუძვლიანად, რომ თავისუფლად შეეძლო ესარგებლნა ყველა იმ წყაროებით, სადაც საქართველოზედ და ქართველ ტომებზედ რაიმე ცნობა მოიპოვება. მან შესწავლა ენათ-მეცნიერების სემიური და ინდოგერმანული დარგი პარალელურად მარტის ე. წ. იაფეტურ დარგთან, რომელშიაც ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურს უმთავრესი ადგილი ეჭირა და სომხურს მნიშვნელოვანი, როგორც ნარევეს არიულ-იაფეტურისა. იგი სწავლობდა საუკეთესო მეცნიერებთან რუსეთისა და ევროპისა ანთროპოლოგიას და ეთნოგრაფიას (ლუშანთან ბერლინში), ლეთის-მეტყველებას და ეკლესიის ისტორიას (ჰარნაკთან ბერლინში), არქეოლოგიას და ხელოვნების ისტორიას, მსოფლიო ისტორიას, ისტორიის ცალკე ერთა, ძველთა და

ახალთა, მწერლობათა ისტორიას, დამწერლობას, ფილოლოგიის მეცნიერებას, სამართლის მეცნიერებას, მეურნეობის მეცნიერებას და სხვას კიდე სხვა მეცნიერებთან, — ჰემარიტად ყველაფერს, რაც მას ესაჭიროებოდა იმ პრობლემათა დასამუშავებლად და გადასაწყვეტად, რომელიც უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი მის „ქართველის ისტორია“-ში, რომლის დაწერაც მას ისე ფართოდ ჰქონდა განზრახული, როგორც ეს შემდეგ მოჩნდა. იგი სწავლობდა სპეციალისტებთანაც და მუშაობდა ცხოველებლადაც, რომ აუარებელი, მისი დიდი მიზნისათვის საჭირო ცოდნა შეეძინა და ეს ცოდნა დალაგებული ყოფილიყო მის გონებაში და მიზანშეწონად დაეყენებულა. ამიტომ შემოხსენებულ რაოდენობას მის მიერ შესწავლილ ენათა ემატებოდა ევროპიული ენები: გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იტალიური, რომელ ენებზედაც დაწერილი თხზულებებით მას უნდა ესარგებლა, და რასაკვირველია აგრეთვე რუსული, სახელმწიფო ენა ახალგაზრდობაშივე შესწავლილი. და ვის ჰქონდა ასეთი ყოველმხრივი და საფუძვლიანი მომზადება შემოხსენებულ მის წინამორბედთა შორის? — არავის, და არც არავის დაუსახავს მათ შორის ისეთი გიგანტური მეცნიერული მიზანი, როგორც ივანე ჯავახიშვილმა დაისახა!

აი ამ მდიდარი გონებრივი საგზლით წინასწარ აღტირებული შეუდგა ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიის კვლევას და წერას და ორმოც წელიწადზე მეტია, რაც ეს ამდიდრებდა თვისი ცალკე გამოკვლევებით და დიდი თხზულებებით ქართულ მეცნიერებას და საზოგადოდ მეცნიერებას. მისი თხზულებანი მას რაოდენიმე გამოკვლევის გარდა, რომელიც მან დაბეჭდა რუსულად და გერმანულად, ქართულად აქვს დაწერილი. და არ არის პრობლემა, რომელიც შეეხება საქართველოს და მის ერს, რომ მას თავის თხზულებებში განხილული და დაყენებული მინც არ ჰქონდეს, ხოლო ბევრი მათგანი ფრიად მნიშვნელოვანი — გადაწყვეტილი.

1. ქართულ ენათა ჯგუფის შესახებ ივანე ჯავახიშვილი პირველად მარტის თეორიას იზიარებდა, როგორც მოწაფე მარტისა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს სხა ენათ-მეცნიერებთან შედარებით უფრო მისაღები თეორია შეჰქმნა. მარტის იაფეტური თეორიით ქართულ ენათა ჯგუფი სემიურ ენათა ჯგუფის მონათესავეა თითქოს, — ბიძაშვიებად ერგებიან იგინი ერთმანერთსაო. ეს მიიღო ივანე ჯავახიშვილმა ჰემარიტებად თავისი ქართულში მარტის ისტორიის პირველ ტომში და ამაზედ დაამყარა ლინგვისტიური შესავალი თვისი წიგნისა. მერმე მას განხილული აქვს სხვა და სხვა აზრი ევროპიელ ასსიოლოგთა ქართული ენის ნათესაობის შესახებ ლურსმულ წარწერათა არა სემიურ და არა არიულ ენებთან და სხვა. — ბატონებო, მომიტყვევით, თუ აქ ჩემ თავზედ ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ქართველთა შორის ყოველ შემთხვევაში მე პირველი ვიყავი, რომელმაც მყისვე ვიგრძენი შეცდომა მარტის თეორიისა. მეც



მაინტერესებდა ქართული ენის ნათესაობის პრობლემა და როგორც ასსიროლოგმა, რომელმაც ერთი სკიმიური ენა — ბაბილონური მაინც უნდა იცოდეს, მაშინვე შევნიშნე, რომ ქართულს არავითარი გენეტიური ნათესაობა არა აქვს სემიტურთან, მაგრამ აგრეთვე როგორც ასსიროლოგმა ვნახე ძლიერ ახლო და მართლაც გენეტიური კავშირი ქართულსა და სრულიად არა-სემიტურ სუმერულს შორის. ჩემი შრომა მე გამოვაქვეყნე ქართულად 1912 წ. და ინგლისურად 1913—16 წლებში. ერთი მხრით მარრი უკმაყოფილოდ შეხვდა ჩემ კრიტიკას, მეორე მხრით ევროპის მეცნიერებაში სუმერული საკითხი მწვავე საკითხი იყო და როდესაც ვერ ნახეს მისი ნათესაობა ვერც ერთ ენასთან, დაადგინეს თურანულ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო, რათგანაც რაოდენიმე სიტყვა მართლაც ნახეს გარეგნულად მსგავსი სუმერული და თურანული. დღეს კი აზრი სუმერულისა და ქართულის ნათესაობისა ფეხს იკიდებს მეცნიერებაში მიუხედავად ძველი დადგენილებისა, — ყოველ შემთხვევაში არავინ უარ-ჰყოფს „კავკასიურ ელემენტებს“ სუმერულში. ერთ ჩეხ ფილოლოგს ჩემზედ ადრეც გამოეთქვა ეს აზრი, მე მისი ნაწერი ჩეხურ ენაზედ დღესაც ვერ ჩავიგდე ხელში — არ ვიცი რა სთქვა და როგორ — ხოლო მარრმა ბოლოს და ბოლოს სუმერულიც იაფეტურ ენათა ჯგუფში მოათავსა, როგორც ათასი სხვა, და ამით გადაჭრა საკითხი. მე ივანე ჯავახიშვილთან მიწერ-მოწერა მქონდა ამ საგნის შესახებ მისი წიგნის გამოცემის წინად და შემდეგ და იგი ძლიერ დაინტერესებული და დაეკვიტული იყო. მეორე აღმოჩენა, რაც მე ბედმა მარგუნა, იყო სწორი ხილვა ქართული ორ-თანხმოვანი ძირებისა, სიტყვათა წარმოებისა ამ ძირებიდან სუფიქს-პრეფიქსთა საშუალებით და ზმნის ფორმათა ორი საფუძვლისა — მოქმედებითი მიმღეობისა და ვნებითი მიმღეობისა. ამან უფრო ნათელ ჰყო ჩემთვის ახლო, გენეტიური ნათესაობა სუმერულისა და ქართულისა. მესამე ჩემი მცირე ღვაწლი ლურსმულ ენათ-მეცნიერებისა იყო აქამდე უცნობი, გაუგებარი და ყოველთვის ყალბად თარგმნილი ლურსმული ურარტული ტექსტების სწორი გაგება, თარგმნა, და შედგენა ურარტული გრამმატიკისა, რაოდენადაც ფორმებს გვაძლევენ ტექსტები. ამან დამარწმუნა, რომ აქამდე ყველასაგან აღსარებული და ივანესაგანაც ყურად-ღებული (თუმცა არ მიღებული, რათგანაც იგი ფრთხილი მეცნიერი იყო) ნათესაობა ურარტულისა და ქართულისა სრულიად არ არსებობს: ქართული სულ სხვაა, ურარტული სულ სხვა. ესე ყოველი და კიდე ბევრი რამ აუცილებელ საჭიროდ ჰყოფდა ქართული ენის ნათესაობის ძველ თეორიათა რადიკალურ გადასინჯვას და ამაზედაც ივანესთან ხშირი მიწერ-მოწერა მქონდა წინად, ვსაუბრობდი მასთან თბილისში 1920 წელს და შემდეგ აქეთგანაც ჩემ გამოკვლევებს ვუგზავნიდი, ფრანგულად და გერმანულად დაბეჭდილს, და იგი მას მიდიოდა და ყურადღებით კითხულობდა. და სხვათა შორის ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ მეორე გამოცემა ძარტიმელი მრ-

ის ისტორიისა ივანე ჯავახიშვილმა ენათ-მეცნიერებაში შესავლის გამოტოვებით დაბეჭდა, ესეც იყო. გ. უციხიაშვილის გადმოცემით იგი ამ ნაწილს წიგნისას სპეციალურად და სხვაგვარად ამუშავებდა. როგორ დაამუშავა მან იგი, ან რა აზრს დაადგა საბოლოოდ, არ ვიცი. წიგნი ჯერ არ გამოსულა, მაგრამ მე ბედნიერად ვგრძნობ ჩემ თავს, რომ დიდ მეცნიერს მცირე სამსახური მაინც გავუწიე მისი ძველი ენათ-მეცნიერული შეხედულების თუ სრული შეცვლისა არა, შესწორების მხრით მაინც. სხვებრ კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს გადამუშავებული ნაწილი მისი წიგნისა ერთი საუკეთესოთაგანი იქმნება მის დიდ სისტემაში საქართველოს შესასწავლი მეცნიერებისა.

2. იქვე, „ძარტიმელი მარის ისტორიის“ პირველ ტომში ივანე ჯავახიშვილი გვაძლევს სურათს ქართველთა საწარმართო სარწმუნოებისა. თქმულებათა და ღმერთთა სახელთა და მათი თავყვანისცემის განხილვით ქართველთა სხვა და სხვა ტომთა შორის, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, ჯავახიშვილი მიდის იმ შეურყეველ დასკვნამდე, რომ დასაბამითგან ქართველთა ტომებს სარწმუნოებაც ერთი ჰქონიათ, რაიცა ამტიკებს მათ უძველეს სულიერ ერთობას. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრით მთვარის თავყვანის-ცემა, რომელიც წმიდა გიორგის კულტის სახით დღევანდლამდე გავრცელებული მთელ საქართველოში. იგი სტრაბონმა ისეთივე ფორმით იხილა პირველ საუკუნეში ქრ. წინ აღბანიაში და აღმოსავლეთ იბერიაში, როგორითაც დღეს ვხედავთ მას თეთრი გიორგის დღეობაზე კახეთში. — ივანე ჯავახიშვილის უდიდესს წინამორბედს მარრს ამ დარგში კი მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ წარმართობის ღმერთების რაობა და სახელები აქვს გამოკვლეული (ბოგი იაზ. გრუზიი) და ისიც შეცდომით, რაის დამტიკებაც თავის დროზედ მე თვითონ ვსცადე.

3. იქვე ივანე ჯავახიშვილს შეკრებილი აქვს უცხოთა ცნობები ქართველ ტომთა შესახებ დაწყებული მე-12 საუკუნითგან ქრ. წინ ახალი წელთ-აღრიცხვის დაწყებამდე, აღწერილი აქვს ბრძოლა ამ ტომთა ძველი აღმოსავლეთის წინააღმდეგ და კულტურა მათი იმ დროს, აგრეთვე ბინადრობა მათი გაცილებით უფრო სამხრეთ-დასავლეთით, ვიდრე შემდეგ მათ ვხედავთ ისტორიულად ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზედ. შემდეგ, — კავკასიის არქეოლოგიურ და ანთროპოლოგიურ მასალათა მიხედვით, ჯავახიშვილის აზრით ეს შემოხიზნვა ქართველ ტომთა კავკასიის მხარეში ჯერ კიდე მე-12 საუკ-ში ქრ. წინად უნდა დაწყებულიყო. პირველად იგი ნაწილობრივი იყო, შემდეგ კი, მე-9 საუკ. დაწყებული, როდესაც ქართველ ტომებს — მესხებს, ტაბალებს, კასკებს და სხვებს — მათ ძველ სამშობლოში შესული ინდოგერმანელთა ტომები მოაწვეს, ეს შემოხიზნვა უფრო მასსიურად ხდებოდა.

4. იქვე ივანე ჯავახიშვილს აქვს მოთხრობილი ერთი რად შედუღების პროცესი დიდი ხნითგან საქართველოში



შემოხვეწილ ქართველ ტომთა, ქრისტიანობის ხანაში 1-ი საუკუნითგან მე-7 საუკ-მდე, შექმნა ქართულ პოლიტიკურ ორგანიზმთა და ბრძოლა მათი ბიზანტიისა და სპარსეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის, ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში ორი მხრით — საბერძნეთითგან და სირიითგან სომხეთზედ, და როლი ახალი სარწმუნოებისა ქართული ახალი კულტურის შექმნაში, შექმნა ქართული ეკლესიისა, გამარჯვება საქართველოში ბერძნულ-ევროპული ქრისტიანობისა აღმოსავლურ-სირიულზედ და ამ ნიადაგზედ მომხდარი სამუდამო ჩამოშორება ქართული ეკლესიისა სომხურისაგან, რომელმაც არ მიიღო ქალკედონის 451 წლის კრების დადგენილება (ორი ბუნება ქრისტესი), და საბოლოო შესლვა საქართველოსი აღმოსავლეთ-ევროპის კულტურულ სფეროში. ჯავახიშვილს აღწერილი აქვს აქვე მაშინდელი პოლიტიკურ-სოციალური აგებულება საქართველოსი — მეფობა, საგვარეულო წესწყობილება და სხვა, და ერთობ კულტურა ამ ეპოქისა. იგი უხვად, და უადრესად კრიტიკულად სარგებლობს უცხო და ქართული ცნობებით (მას სადისერტაციო შრომაც კი ჰქონდა წინად დაწერილი სათაურით: **სახელმწიფო წყობილება ძველ საქართველოში და სომხეთში**). და მთელი ეს გამოკვლევა საესეა არა თუ ახალი აზრებით, არამედ მრავალი აღმოჩენით, რომლის მსგავსით ჯავახიშვილის წინამორბედნი მეცნიერნი, მკვლევარნი ძველი საქართველოსნი, დიად ვერ დაიქადებენ!

5. ივანე ჯავახიშვილს „ზეპირად“ ლაპარაკი არ ეხერხებოდა, ბრწყინვალე ჰიპოთეზები და ამგვარნი არ უყვარდა. ყოველი აზრი, დასვენა მისი დინჯი კვლევის ნაყოფია და კვლევის საშუალებად, სხვა საშუალებათა შორის, რასაკვირველია იგი ყოველ ცნობას ხმარობდა, რომელიც კი მოეპოებოდა ან უცხო მწერალს, ან ქართველს მათ თხზულებებში. მაგრამ იგი ამასაც ჯერ კრიტიკულად განიხილავდა და მერმე დარწმუნდებოდა, თუ რა ღირებულება ჰქონდა მას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის. აი ამ მიზნით განიხილა მან კრიტიკულად ჯერ თითქმის მთელი ძველი ქართული მწერლობა და განსაკუთრებით ისტორიული შინაარსის მწერლობა, რომელიც მას, როგორც ისტორიკოსს, თავისი მიზნისათვის უფრო გამოადგებოდა. და მან 1916 წელს გამოსცა თავისი შესანიშნავი წიგნი **ძველი ქართული ისტორიული მწერლობა**, რომელშიაც უმეტესი ნაწილი ცნობილ ქართულ თხზულებათა ისტორიული შინაარსისა, იაკობ ხუცესის წმ. შუშანიკის ცხოვრებითგან დაწყებული (მე-5 საუკ.) ომან ხერხეულიძემდე (მე-18 საუკ. ერეკლე მეფის ისტორიკოსი იყო) კრიტიკულად აქვს განხილული და მათი თვისებანი აღნიშნულნი. და ეს წიგნი ერთი საუკეთესოთაგანია საზოგადოდ ისტორიის მეცნიერებაში, როგორც დიდებული ნაწარმოები ისტორიულ წყაროთა მეცნიერების საეციალური დარგისა. საუკუნეთა სიგრძეზედ აქვს განხილული ჯავახიშვილს, თუ როგორ სწერდენ უამთა ცვალებადობის

მიხედვით ქართველი ისტორიკოსები, რა მიზნით, როგორ და რა მეთოდით, როგორი პასუხის-მგებლობის გრძნობით, რა ცოდნით, როგორი სტილით, რა ზომით და სხვა, და ნათლად გვიჩვენებს ღირებულებას განსაკუთრებით ძველ ნაწარმოებთა, რომელთაც შეიძლება სივრცით სხვა ერთა ნაწარმოებნი აჭარბებდენ იმავე დროისა, მაგრამ იშვიათად ისტორიული შინაარსით და ნდობის ღირსებით. მარტო კრიტიკა და აღწერა რად ღირს მე-8 საუკუნის ისტორიკოსის იოანე საბანის ძის **მარტვილობა წმიდისა ჰაბოისისა**-სა, ან მე-12 საუკუნის უსახელო ავტორის **ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა**-სა, ან და გიორგი მთაწმიდელის თხზულებისა **ცხოვრება იოანესი და ეფთ-ვმესი**, გიორგი ხუცეს-მონაზონისა, რომელმაც გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება აღწერა, ეფრემ მცირისა, და თუ გინდ ძველი დიდი მეცნიერი-ისტორიკოსის ვახუშტისა და სხვათა თხზულებათა; ანკიდე ბოლოს განხილვა **ქართლის ცხოვრების** პრობლემისა, რომელსაც ღმერთმა იცის რა მდაბალი მიზნით და უვიცობითაც აყენებდენ წინად მეცნიერები, რასაც მკაცრად შეებრძოლენ ჯერ კიდე ბროსე და დ. ბაქრაძე, რომლის გადაწყვეტისათვისაც სხვა ქართველ ისტორიკოსებსაც ღვაწლი მიუძღვისთ, მაგრამ რომელიც ისე ნათლად და საბოლოოდ გადაწყვიტა ივანე ჯავახიშვილმა, ნათელ-ჰყო **ქართლის ცხოვრების** კრებული ხასიათი, რომლის ნაწილები სხვა და სხვა პირთაგან სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა წესით იწერებოდა, უმეტესად თანამედროვეთაგან, აღმოაჩინა ახალი ვარიანტები მისი, ახალი თხზულებებით, როგორც მაგალითად თამარ მეფის მეორე ისტორია, და აგრეთვე აღნიშნა დიდი ღვაწლიც **ქართლის ცხოვრების** შემავსებელი ვახტანგ მე-6-ის ე. წ. კომისიისა „მსწავლულ კაცთა“. მაგრამ აქ არ თავდება ივ.ჯავახიშვილის ღვაწლი ქართულ ისტორიულ წყაროთა მეცნიერების წინაშე. და აქ მაგონდება ერთი რამ: დიდი გერმანელი ფილოლოგი, აწ განსვენებული ვილამოვიც-მოელლენდორფი მოგვითხრობს თავის მოგონებებში: ერთმა ისტორიკოსმა მითხრა ერთხელ, თქვენ ფილოლოგები მწვადებსა სწავათ, ჩვენ ისტორიკოსები კი მივირთმევთო. ეს მწვადის შეწვა ტექსტების ფილოლოგიურ დამუშავებასა და კრიტიკას ნიშნავდა. და ევროპაში მართლაც ძალიან უხვად სარგებლობს ისტორიკოსი ფილოლოგებისაგან შემწვარი მწვადებით. მაგრამ ვინ უწვავდა ივ. ჯავახიშვილს ასეთ მწვადებს? რომ შეადართოთ ფილოლოგიურად ხეირიანად დამუშავებულ ქართულ ტექსტთა რაოდენობა იმ რაოდენობას ტექსტთა, რომელნიც საჭირონი იყვნენ ჯავახიშვილისათვის მისი **ისტორიის** დასაწერად, ძლიერ მცირეა პირველი, და ძლიერ დიდი მეორე და ივანე თვითვე იყო იძულებული მწვადები შეეწვა როგორც ფილოლოგს და მიერთმია, როგორც ისტორიკოსს. და ეს მძიმე საქმეც თავს იღვა ივანე ჯავახიშვილმა. იგი შედარებით კარგად გამოცემული ტექსტებითაც არ იყო კმაყოფილი და დამზადებული ჰქონდა ხელ-ახლად კრიტიკული გამოცემისა-

თვის იგივე ტექსტები... და რასაკვირველია დაამუშავა ფილოლოგიურად და დაამზადა კრიტიკული გამოცემისათვის აუარებელი გადამწერთაგან დამახინჯებული ტექსტი, განსაკუთრებით **ქართლის ცხოვრებისა**, რომლის ბროსსესეული გამოცემაც დიდი ღირებულებისა არ არის, ხოლო მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ექვთ. თაყაიშვილისაგან, პირდაპირ არის გადმობეჭდილი სავსებით დამახინჯებულ ხელნაწერთაგან მე-17 საუკუნისა. და ვისაც უნდა გაიგოს, თუ როგორ ამახინჯებდნენ გადაწერის დროს ტექსტებს ჩვენი კულტურის დაცემის ხანაში, ან თუ რას ნიშნავს დამახინჯებული ტექსტის აღდგენა, ამ წიგნის ერთი გვერდი წაიკითხოს და სინჯოს მისი აღდგენა. მაშინ მიხედება იგი, თუ რა არის ზემოხსენებული მწვადის შეწვა, რომელიც კიდე მეტია, ვიდრე მართო აღდგენა ტექსტისა,—მას ზედ ერთვის კრიტიკა, რასაც დიდი ცოდნა და ინტუიცია სჭირდება, —და მაშინ გაიგებს, თუ რა ღვაწლი დაუდგია ივ. ჯავახიშვილს ამ მხრითაც ჩვენი ისტორიის მეცნიერებისათვის. ივ. ჯავახიშვილი ისე გარდაიცვალა, რომ არ ეღიროსა გამოცემა თვის მიერ ფილოლოგიურად დამუშავებულ აღდგენილ ტექსტთა, მაგრამ ეს მის მიერ აღდგენილი და დამუშავებული ტექსტები არსებობენ, როგორც იგი თვით ამბობს თავის ზემოხსენებულ თხზულებაში, და თავის დროზედ მისი მოწაფენი მას გამოსცემენ.

6. ივანე ჯავახიშვილი მეცნიერებათა თვით შემქმნელიც იყო: მან შექმნა მეცნიერება ქართული პალეოგრაფიისა. მისნი წინამორბედნი —დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, ნ. მარრი და სხვანი ქართულ ეპიგრაფიულ მასალებს აგროვებდნენ და მათ ბევრი რამაც კარგად გამოუციათ, მაგრამ აქეთვან პალეოგრაფიის შექმნამდე დიდი მანძილია. 1926 წელს გამოცემულ წიგნში **ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია** ივ. ჯავახიშვილმა მტკიცე საფუძველი დაუდგა ამ მეცნიერებას, რომელიც ბევრ კულტურულ ერს დღესაც არ მოეპოვება. ყველა პრობლემები ქართული დამწერლობისა მან განიხილა და გადასწყვიტა ისე, რომ არა მგონია მათი სხვანაირი გადაწყვეტა ოდესმე საჭირო შეიქმნეს, არამედ შემდეგი კვლევა მის დასკვნებს უფრო დიდ სიმტკიცეს მისცემს. განსაკუთრებით აქ ორი საკითხის გადაწყვეტაა ჯავახიშვილის დიდი დამსახურება: 1) მან დამტკიცა, რომ მხედრული, წინააღმდეგ ბევრის აზრისა წინად (მაგ. მარისა), არ არის ხუცურზედ უფრო ძველი, არამედ იგი განვითარება ქართული, ნუსხური ხუცურის განსაზღვრული წესით წერისა. იგი უკვე ნათლად სჩანს მე-11 საუკუნეში და მე-13-ში უკვე შეგვიძლია მას „მხედრული“ ვუწოდოთ ჩვენი ახლანდელი წარმოდგენით მხედრულზედ. ნუსხა ხუცური კი წარმოდგარია ასომთავრული ხუცურისაგან მიახლოვებით მე-7 საუკუნის ბოლოში. ტერმინები „ხუცური“, „ასომთავრული ხუცური“, „ნუსხა ხუცური“, „მხედრული“ და სხვანი შემდეგ არიან შექმნილნი. ნამდვილად კი ქართული ერთი ანბანი იყო, რომლის უძველესი ფორმა ასომთავრული ხუცური. მისგან განვითარდა სხვა და სხვა წესი წერისა და წარმოსდგა ასოთა სხვა და სხვა ფორმები, რომლებსაც სხვა და სხვა სახელი ეწოდა შემდეგ. —წარმოშობა თვით ქართული

ანბანისა კი დიდი ნიშნითან აინტერესებდა ქართველ მეცნიერებს. ზოგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იგი სომხურიდან არის ნასესხები, ზოგისთვის იგი ბერძნულიდან იყონასესხები, ზოგისთვის არამეულიდან და სხვა. და ჯავახიშვილამდე ეს საკითხი გადუწყვეტელი დარჩა. გარდმოცემა ქართული ანბანის შესახებ გვაქვს ორი: ა) სომხური, რომელიც ეყრდნობა მე-7 (თუ მე-9 ?) საუკუნის სომეხ მწერლის კორიუნის ცნობაზედ, თითქოს სომეხ მესრობ მამუტაც-ს, რომლის ცხოვრებაც კორიუნმა აღწერა, შეექმნას მე-5 ს.-ში ქ. შ. სომხური და შემდეგ ქართული და ალბანური ანბანი. ბ) ქართული: პირველმა მეფემ საქართველოსა ფარნავაზმა შექმნა ქართული მწერლობა (მე-3 ს.-ში ქრისტეს წინად)—ო. ბევრმეცნიერს დღესაც კორიუნის ცნობა სწორი ჰგონია და ქართული ანბანის სომხურთან შედარებით სცილობენ მის დამტკიცებას. მარს კი მხედრული ქართულის წარმოშობა ქრისტეს წინად სწამდა და ამით უახლოვდებოდა ქართულ ტრადიციას, ხოლო ხუცურის წარმოშობის შესახებ კორიუნის ცნობას უახლოვდებოდა. კ. კეკელიძეს კი ჰგონია, რომ ქართული ანბანი მართლაც მე-5 ს.-ში წარმოიშვა ქრისტეს შემდეგ, სომეხმა მესროპმა კი ალბათ გამაუმჯობესებელის როლი აღასრულა, როგორც „კომმისიის“ წევრმა ქართული ანბანის გასაუმჯობესებლად შექმნილმა და მისი გამოძახილია კორიუნის ცნობა, და სხვა. — ივანე ჯავახიშვილმა კი დაამტკიცა, რომ:

- 1)—კორიუნის ზემოხსენებული ცნობა, განმეორებული მოსე ხორენელისაგან, არ ყოფილა კორიუნის თხზულების პირველ, ძველ ვერსიაში, არამედ იგი შეტანილია შემდეგ ვრცელ ვერსიაში („ისტორია ღვაწლთა და სიკვდილისა ნეტარისა წმ. კაცისა მესროპისა“ და სხვა; იხ. აგრეთვე ჯავახიშვილის: ძველი სომხური მწერლობა I, გამოცემული 1935 წელს).
- 2)—ქართული. ანბანის პალეოგრაფიული შესწავლა — არც ასოების ფორმათა განვითარების მხრით და არც ასოთა რიგის მხრით ნებას არ გვაძლევს დავსახოთ იგი ბერძნულითაგან, სომხურიდან, არამეულითაგან ან სხვა რომელიმე ანბანიდან პირდაპირ წარმოდგარად, შევადარებთ რა ქართული ანბანის განვითარებას ამ უკანასკნელთა, აგრეთვე პალეოგრაფიულად შესწავლითა, განვითარებას.
- 3)—რასაკვირველია ქართული ანბანი ეკუთვნის იმ ანბანთა ჯგუფს, რომელნიც ყველანი მომდინარეობენ ე.წ. ფინიკურითგან, რომელიც დაახლოვებით ქრ. წინ მე-11 საუკუნეში იყო შექმნილი, და ამ მხრით იგი ყველა მათ ენათესავება, მაგრამ ყველა ამ პალეოგრაფიულად შესწავლილ ანბანთა ქართულთან შედარებითაგან ცხადი ხდება, რომ ქართული ერთი დამოუკიდებელი წიორია ამ ანბანთა ჯგუფისა, წარმოდგარია მიახლოვებით მე-7 ს.-ის ბოლოში ან მე-6-ის დასაწყისში ქრისტეს წინად. აგრეთვე სომხური ანბანიცა გაცილებით უფრო ძველი, ვიდრე გამოგვეცემს კორიუნი, მაგრამ მხოლოდ სომხურ პალეოგრაფიას შეუძლია მისი წარმოშობის დროის გადაწყვიტა, სომხური პალეოგრაფია კი საუბედუროდ აერ არსებობს. ამგვარად მართლდება ქართული გარდმოცემა



ქართული ანბანის ქრისტეს წინადა არხებობისა. და მართლაც, როგორ შეიძლება დაწერილიყო მეხუთე საუკუნის მე-2 ნახევარის დასაწყისში ისეთი ლიტერატურულად სრული თხზულება, როგორც არის იაკობ ხუცესის „შეშანიკის ცხოვრება“, თუ ჯერ კიდევ იმავე საუკუნეში დაიწყო ქართველებმა წერა. და იგივე ითქმის სომხური ანბანის წარმოშობისა და მწირობის დასაწყისზედაც. —

7. ივანე ჯავახიშვილმა კიდევ ერთხელამეცნიერება შეუქმნა საქართველოს: ქართული სიველთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა (თბილისი 1926), — მეცნიერება, რომელიც აგრეთვე ყველა კულტურულ ერს არ მოეპოვება. კლასიფიკაცია საბუთთა მათი იურიდიული თვისების მხრით, წესი მათის შედგენისა დროისა და იურიდიული რაობის მიხედვით, პირობანი მათი იურიდიული ძალისა, გამოცნობა მათი სინამდვილისა თუ სიყალბისა, შედარება მათი სხვა ერთა საბუთებთან, და სხვა მრავალი, რაიცა საგანია ისტორიისათვის ამ ფრიად საჭირო მეცნიერებისა, ყვილაფერი დაწვრილებით, ზედ-მიწვევით, მკაცრი მეცნიერული მეთოდით არის მოცემული და დალაგებული ივანე ჯავახიშვილის წიგნში. მისმა წინამორბედებმა კი მხოლოდ საბუთები გამოსცეს, ისიც არა დიდი რაოდენობისა.

8. ნამდვილი მარგალიტი ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა შორის არის მისი **ქართული ისტორიის ისტორიკონი** (წიგნი პირველი, ქუთაისი 1919 წ. და მეორე, თბილისი 1929 წ.) საქართველოს გაერთიანებითგან ძლიერი, დიდი საქართველოს ბოლომდე. აქ აქვს მას აღწერილი მიწა-წყალი საქართველოსი და მოსახლეობის ერთეულები, სოციალური წყობილება (პატრონ-ყმობა), მონღოლეთი და სხვა, განხილული სახელმწიფო სამართალი (მეფის უფლება და სხვა), სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამართალი მოქმედი კორპორაციებში (ეკლესია, ვაჭართა კორპორაციები და სხვა), სასამართლოს წარმოება და სხვა. ესეც ახალი და დიდი შრომა, რომელიც არც ერთ მის წინამორბედს სისტემატიურად არ გაუწევია, აგრეთვე თვინიერ მასალათა შეკრებისა. აქ ყველაზედ უფრო საინტერესოა პატრონ-ყმობა საქართველოში, რომელსაც ჩვენ საშუალო საუკუნეთა ბოლოს დასრულებულად ვხივავთ. ეს ქართული რთული პატრონ-ყმური განწყობილება, რომელიც საზოადოების წევრთ უმდაბლესი სოციალური საფეხურიდან დაწყებული მეფემდე ურთიერთისაგან დამოკიდებულ და სამსახურის ვალით დატვირთულ-ჰყოფდა, სისტემა, რომელიც საურთი-ერთო სამსახურზედ და ვალდებულებაზედ იყო დამყარებული, ძლიერ ჰგავდა ევროპის ფეოდალურ წყობილებას, თვით ცნებათა, საგანთა, დაწესებულებათა აღმნიშვნელ ტერმინოლოგიამდე, და არ არსებობდა ყოველ შემთხვევაში მზავის სახით საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. ესარის ჩვენი აზრით მიზეზი იმისა, თუ რად ვპოულობთ იმავე სულს ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე-ს პოეზიაში, რომელიც ვეფხის-ტყაოანშია, და სხვა. და საქართველოს „გავლენაზედ“ საშუალო საუკუნეთა ევროპაზედ იმ დროს, ან წინა უკმო, შეუძლებელია აზრი. მაშ რით აიხსნება ეს მზავსება? ეს საკითხი ძნელია და რთულ და მრავალ-მხრივ გამოკვლევას მოითხოვს და მისი გადაწყვეტა მომავალს ეკუთვნის. მაგრამ მკვლევარმა ივანე ჯავახი-

შვილს უნდა დაუმალოს, ევროპიელმაც და ქართველმაც, რომ მან ასეთი საინტერესო მიზანი კვლევისა დალსახა მას.

9. მოვიხსენოთ ამასთანავე უზარ-მაზარი შრომა ივანე ჯავახიშვილისა, მისი **საქართველოს ეკონომიური ისტორია**, რომელიც მან უკვე 1907 წელს დაიწყო და დაამთავრა 1934 წელს გამოცემით მეორე წიგნისა. მან აღწერა ძველი სავაჭრო გზები საქართველოსი, წარმოება მისი, მოაჯრა საზომთა განმარტება და აღნიშნა უცხოელების გაიონა საქართველოზედ ამ მხრით და სხვა, მაგრამ უაღრესად საინტერესოა მის ჯიანასკნელ ორ უზარ-მაზარ ტომში კვლევა სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა კუთხეში ხმარებულ ხელ-საწყობთა, მცენარეთა კულტურისა, მებაღეობისა, ხორბლეულობის მოყვანისა, მეღვინეობისა, — განსაკუთრებით უძველესი დარგის ქართული სასოფლო მეურნეობისა — მეღვინეობისა, რომელსაც ევროპის მეღვინეობაზედაც დიდ-მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონია. სრული დაფასება ამ დიდი შრომისა უკვე სპეციალტ-აგრონომთა საქმეა, არა მარტო სპეციალისტ ეკონომისტ მეცნიერთა.

10. ბოლოს რომელმა განათლებულმა ქართველმა არ იცის ივანე ჯავახიშვილის **ქართული ერის ისტორია** თამარის მეფობის დასასრულამდე (1213/1214 წ.), რომელშიაც მეცნიერს მოთხრობილი აქვს საქართველოს პოლიტიკური ბედი, მისი ბრძოლა არსებობისათვის რთულ და ძნელ საერთაშორისო პირობებში, და ბოლოს მისი გამარჯვება, ბრძოლა პოლიტიკური გაერთიანებისათვის და შექმნა ძლიერი სახელმწიფოსი, რომელიც დიდ როლს ასრულებდა მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში, აყვავება ქართული კულტურისა და მიხწევა მისი იმ ძიერვალამდე, რომლამდეც იგი მე-14 საუკ-ში დაცემის შემდეგ აროდეს ასულა. აქ განივლის ჩვენი თვალის წინ მთელი რიგი დიდ ქართველთა, მეფეთა, სხვა მოღვაწეთა, რომელნიც ჰქმნიდნ საქართველოს ისტორიას საშინელ ერთაშორისო პირობებში: დავით კურაპალატი, იოანე მარუშისძე, ბაგრატმესამე, დავით აღმაშენებელი, თამარი — აფხაზთა მეფენი, და სხვანი — და გვეშლება აგრეთვე თვალ წინ შემოქმედება ქართველი ერისა, რომელიც ამავე საშინელ პირობებში არა კლებულობდა და დიდდებოდა პოლიტიკურ გამარჯვებასთან ერთად, და საქართველოს უკვდავ სახელს ანიჭებდა დიდი და დიადი ინდივიდუალობის კულტურის მქონე ქვეყნისას.

საუბედუროდ ივანე ჯავახიშვილს არ დასცალდა გამოცემა მესამე ტომი საქართველოს ისტორიისა მე-13—14 საუკუნისა, იმ ეპოქისა, როდესაც მონღოლებმა დასცეს ძლიერი საქართველო და კულტურაც მისი თითქმის კატასტროფიულად დაიღუპა. მან გამოსცა ამ მესამე ტომის გამოშვებით, რათგანაც მას სურდა საფუძვლიანად შეესწავლა ეს ძნელად შესასწავლი ეპოქა, მეოთხე ტომი თავისი ისტორიისა, მე-15 საუკ-ის ისტორია, სადაც მოთხრობილია ცდა დიდ ქართველ მეფეთა და სხვა მოღვაწეთა აღედგინათ მთლიანი საქართველო და კულტურა მისი, საქართველო პოლიტიკურად დაშლილი და კულტურულად განადგურებული ორასი წლის მონღოლთა ბატონობისა და რბევის დროს. ჩვენ თვალწინ გვიდგს ღვაწლი



გიორგი ბრწყინვალისა და ალექსანდრე მეფეთა, და საინტერესოა განსაკუთრებით მოღვაწეობა ყვარყვარე ათაბაგისა, რომელსაც გონიერი პოლიტიკური კომბინაციებით და ევროპასთან კავშირით სურდა განედევნა ევროპითგან თურქები, რომელთაც კონსტანტინეპოლი იიღეს 1453 წელს, და მოესპო საზოგადოდ მათი ძალა. მას ამისთვის მთელი გეგმა ჰქონდა შემუშავებული და ელჩები გაგზავნა ევროპაში თურქთ წინააღმდეგ საერთო მოქმედების მოსაწყობად, და ვინ იცის, მართლაც რომ მოსულყო ეს შველა მაშინ ევროპითგან, იქნებ სულ სხვა ნაირად დატრიალებულიყო ბედი მთელი ახლო-აღმოსავლეთისა და საქართველოსი. . .

ივანე ჯავახიშვილმა კიდე ბევრი რაის გამოცემა ვერ მოასწრო და ვერ განახორციელა თავისი ოცნება, სიცოცხლეშივე ენახა სრული ნაყოფი თვისი შრომისა. აუარებელი ტექსტი, რომელიც მან გადმოსწერა თვისი მოგზაურობის დროს მართან ერთად 1902 წელს სინას მთაზედ და პალესტინაში, და წინად ათონზედ, გამოუცემელი დარჩა. გამოუცემელი დარჩა სხვა მის მიერ დამუშავებული და აღდგენილი ტექსტები, რომლებიც მას დიდი ხანია უკვე განმზადებული ჰქონდა გამოსაცემად. გამოუცემელი დარჩა აგრეთვე **ქართული ხელოვნების ისტორია**, რომელიც მას აგრეთვე დაწერილი ჰქონდა. მან გამოსცა მხოლოდ **ქართული მუსიკის ისტორია**, აღსაყვანიტერგისით, როგორც სხვა ყველა მისი ნაშრომები. იქ განმარტებულია ქართული მუსიკა, რომელიც მიუხედავად კილოთა განსხვავებისა სხვა და სხვა კუთხეებში საქართველოსა ერთია მთელი ერისათვის, ეროვნული, ქართული, განსხვავებული სპარსულ-აღმოსავლურისაგანაც და ევროპიულისაგანაც. იქ მოთხრობილია აგრეთვე მუსიკის სწავლა ძველად და ჩვენ დროსაც სოფლებში, სადაც ძველი ტრადიცია კიდე იყო დარჩენილი, აღწერილია საქრავები, განხილულია საერო და სასულიერო მუსიკა და მთელი რიგი პრობლემათა, რომელნიც მათ და საერთოდ ქართულ მუსიკას ეხებიან, და სხვა. გამოუცემელი დარჩა ივანეს აგრეთვე **ქართული ნუმისმატიკა**, ისტორია ჩვენ შავბნელ დროთა მე-16 საუკ-თან მე-18 საუკუნემდე, რომელიც მას დამზადებული ჰქონდა და სხვა.

აი, ბატონებო, ეს უზარ-მაზარი ღვაწლი მეცნიერების წინაშე აწ ჩვენგან განშორებული დიდი მეცნიერისა. და ეს შრომა გიგანტისა მას მარტო წიგნთ-საცავებში კი არ გაუწევია, არამედ არ ყოფილა ადგილი საქართველოში — დიად, არც ერთი ქვა, ღირსი ინტერესისა, რომ მას თვალთ არ ენახა და არ შეესწავლა. და სად შეგვიძლია აქ ყველაფრის ჩამოთვლა, რაც მას აღმოუჩენია ძველი მწერლობისა ან ხელოვნებისა, ან თუ გინდ რაც მას სპეციალურად უკვლევია და გამოუქვეყნებია სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებში, ან ლექციებად უკითხავს. და ყველა მისი ნაშრომი, ან ნათქვამი, დამყარებული იყო ღრმა შესწავლაზედ საგნისა, თითქოს იგი ყველა დარგში სპეციალისტი იყო, და მართლაც იყო ძლიერ ბევრში, და სდებდა იქ იმ უღრმეს ცოდნას, რომელიც მას შეგროვილი ჰქონდა უზარ-მაზარი რაოდენობისა, და ბატონობდა მასზედ, როგორც ნამდვილი ბატონი მეცნიერებისა. ამიტომ იყო, რომ თვითონვე სწუხდა იგი — ჩემი

წიგნები ძნელი საკითხავი შეიქმნაო. მართლაც, საქითხავნი არიან მისნი ნაწარმოებნი საშუალო განათლების კაცისათვის. ამიტომ იყო, ხან და ხან ჯუჯღუნიც მოისმოდა მის წინააღმდეგ, სამწუხაროდ ხშირად მათი მხრითგანაც, რომელთაც საშუალო განათლების კაცზედ მეტი მოეთხოვებოდა. მახსოვს, ერთი მათგანი მეუბნებოდა ერთხელ თბილისში: ივ. ჯავახიშვილი ძველ ტერმინებს ხსნის და ჰგონია საქართველოს ისტორიის სწერსო! თითქოს რომელიმე მეცნიერ ისტორიკოსს ოდესმე დაეწეროს ისტორია, რომელიც ძველ ტექსტებს ხმარობს მასალად, ისე, რომ ძველი ტერმინები არ აეხსნას! მაგრამ ვიცი, რაც უნდოდა ამ ლიტერატს: მას უნდოდა დიდი ხელოვნებით დაწერილი ისტორია საქართველოსი სასიამოვნო მოთხრობად წაეკითხა. — ხოლო ჯავახიშვილს სულ სხვა მიზანი ჰქონდა და მიახწია კიდევ ამ მიზანს. მან შექმნა ქართული ისტორიის მეცნიერება, ყოველი დარგი მისი მკვიდრ საფუძველზედ დაამყარა, და ეს დარგები იმდენია და საფუძველი თვითეული მათგანისა ისე ფართე, რომ თაობათ მეცნიერთა საკმაო ღვაწლი უნდა გასწიონ, რომ საბოლოო სისრულემდე მიიყვანონ ჯავახიშვილის მიერ შექმნილი სისტემა ქართული ისტორიული მეცნიერებისა. და როდესაც ეს დიდი საქმე მკვლევართა დამთავრდება, მაშინ გამოჩნდება დიდი ხელოვანიც კალმისა, რომელიც, აღზრდილი წინამორბედ მეცნიერთა კვლევის ნაყოფით, შეენიერად, მაგრამ აგრეთვე მეცნიერული სისწორით მოუთხრობს ქართველს მისი ქვეყნის ბედს. ჯავახიშვილისა და მის განმგძობთა კვლევის გარეშე დაწერილი საქართველოს ისტორია კი, დიდი ხელოვანის ენითაც რომ იქმნას დაწერილი, ზღაპარი იქმნებოდა. და თვით ივ. ჯავახიშვილი კი ზღაპარებს იკვლევდა მეცნიერულად, მაგრამ ზღაპართა შესათხზავად მას არ ეცალა!

ივანე ჯავახიშვილს პოლემიკაც შეხვედრია მოწინააღმდეგეებთან. იგი იყო ფრთხილად და პატივით მომპყრობი სხვისი აზრისა, მაგრამ სადაც სხვისი შეცდომა და თვისი სიმართლე სწამდა, იგი იქ მოურიდებელი იყო. მაგ. მან ჩააჩუმა ძალიან მკაცრად ს. კაკაბაძე, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ მე-14 საუკუნეში გადმოიტანა „რეალიათა“ მიხედვით, დაუმტკიცა რა, რომ არავითარი წარმოდგენა ს. კაკაბაძეს სწორედ ამ „რეალიათა“ არა ჰქონდა! ივანემ ერთხელ კ. კეკელიძესაც ამოსდვა მაგარი ლაგამი, როდესაც იგი თავისი სფეროთგან გამოვიდა, მარის წაბაძვით იაფ-ფასიანი ორიგინალობა მოინდომა და რაღაც უცნაური და ყოვლად მიუღებელი დასწერა ქართველი ტომების შესახებ, უსაბუთოდ და უსაფუძვლოდ. მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესოა ივ. ჯავახიშვილისა და მარის შეხლა. ამ უკანასკნელისა ივანე მოწაფე იყო, პატივისმცემელი მისი, როგორც მეცნიერისა და პიროვნებისა, და დამცველი მის თეორიათა. იაფეტური თეორიაც მისი მან მიიღო პირველად. მერმე, როცა მან დაინახა, რომ მარრი აჭარბებდა და შეიძლება მთლად შემცდარიც ყოფილიყო, მან ამ თეორიას კრიტიკის თვალთ შეხედა. მაგრამ როდესაც იაფეტური თეორია არ არსებულ ან მარისაგან მოგონილ ტომების სახელთა ეტიმოლოგიათა ჯამბაზობად გადაიქცა და ბოლოს სრულიად გამოვიდა ენათმეცნიერების ფარგლებ-

ითგან და პოლიტიკურ საქურველად გახდა ერთა დაშლისა, როდესაც მარრი ამ საქურველით საქართველოსაც დაეტაკა და ქართველი ერის ორგანიზმს დაშლა დაუწყო, მაშინ ივ. ჯავახიშვილმა ისეთი ღირსეული და განმანდგურებელი პასუხი მისცა მას, რომ საქართველოსთვის მარრს ამ საქურველის მოღერება აღარ გაუბედია და უფრო ჩუვაშებზედ და მორდენებზედ მსჯელობდა. ხოლო როდესაც ივანე ჯავახიშვილისაგან აღმოჩენილმა უძველესმა ქართულმა პალიმფესტებმა სენსაცია გამოიწვია და მარრი თვითაც მიეტევა ჯავახიშვილს განცოფებული და თავისი მოწაფეებიც — კ. ღონდუა და ა. ჰენკო — მიუსია მას დიდი ქაღილით, დავამტკიცებთ, რომ ეს ტექსტები მე-9 საუკუნის არიანო, და ამასთანავე იგინი დიდი შეურაცხებითა და ლანძღვით იხსენიებდენ ჯავახიშვილსაც და ქართულ მეცნიერებასაც, ივანემ მათ სრულიად არ გასცა პასუხი — ასეთ ხალხთან კამათს არავითარი აზრი არა აქვს, იმისდა მიუხედავად, რომ ღირსეული პასუხის გაცემა შეიძლებოდაო. იგი მხოლოდ მათ არცხვენს არსენი ამარტოლის სიტყვით: „მომპატიონი წამილი ძეგლი არს მძებველი, ბამომპაჩინებელი აღმწერილისა და საუკუნოდ, რომლისაგან სპაბელ ყოფად, ხლოო სხვისა ბანძიძეაბად“ —ო.

აი, ბატონებო, ვინ იყო ივ. ჯავახიშვილი, როგორც მეცნიერი. მაგრამ მისი ღვაწლი საქართველოსათვის მარტო წმიდა მეცნიერული არ ყოფილა. ვისაც უკითხავს ქართველ დიდ მამათა ცხოვრება და ჯავახიშვილის მიერ გარჩევა მათი ღვაწლისა, იგი იხილავდა ჩვენი წარსულის ამ დიდ პიროვნებათა სულს და შენიშნავდა აგრეთვე, თუ რა სიყვარულით და მოწიწებით იხსენიებს ჯავახიშვილი მათ, რომელთა სულის-კვეთების საუკეთესო მხილველი სწორედ იგი იყო. და შეუძლებელია მსგავსება არ დავინახოთ აღმწერლისა და აღწერილთა შორის! ჯავახიშვილი რომ იმ დროს დაბადებულიყო, იგი იქნებ სხვა ექვთიმე ან გიორგი მთაწმიდელი, ან ეფრემ მცირე ყოფილიყო, ან თუ გინდ გრიგოლ ხანძთელი, რათგან იგი ახალ საქართველოში იგივე მოვლენ იყო, როგორც იყვნენ ეს დიდნი მამანი ძველ საქართველოში. ჯავახიშვილმა ახალგაზრდობაშივე ჩაიბარა მოძრავი კათედრა ქართული ისტორიისა საქართველოში, სადაც იგი ატარებდა ყოველთვის უმეტეს დროს თავისი ცხოვრებისა, და მან სიამოვნებით დაუთმო პროფესორის კარიერა პეტერბურგში სომეხ კოლეჯას — აღონცს, და თვით ძველი ადგილით, პრივეატ-დოცენტობით დაკმაყოფილდა, თუმცა შეეძლო მასაც მიეღო პროფესორის კათედრა. თითქოს წინად-გრძნობდა თავისი ფარული იდეალის განხორციელებას! და მართლაც 1917 რევოლუციამ მას მისცა შეძლება ეს იდეალი განეხორციელებინა. მან აკაკი შანიძესთან და იოსებ ყიფშიძესთან ერთად ჯვარი დაუსვა სამუდამოდ თვის მოღვაწეობას პეტერბურგში და მიმართა თბილისს ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად. მარრი მასაც და მის სხვა მოწაფეებსაც — შანიძეს და ყიფშიძეს — წყევლა-კრულვით გაუმასპინძლდა დალოცვის მაგივრად. ჯავახიშვილმა მიიმხრო ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე და დამსახურებული მეცნიერი ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილიც და მათ ერთად ჩაუყარეს საფუძველი თბილისის ქართულ

უნივერსიტეტს. მაგრამ, როგორც მე პირადად გამოვიჩინე, შ. ნუცუბიძისაგან, ქართული უნივერსიტეტი არ იქმნებოდა დაარსებული იმ პირობებში, რომ არ ყოფილიყო შეურყეველი რწმენა, გაბედულობა და ენერჯია ივ. ჯავახიშვილისა, რომელსაც მხარში უდგა ესეთივე რწმენით აღჭურვილი მისი უმცროსი თანამოღვაწე აკაკი შანიძე. აქ ახლა ჯავახიშვილს იგივე სული ამოძრავებდა, რომელიც საუკუნეთა უწინარეს ამოძრავებდა გრიგოლ ხანძთელს, ან იოანე მთაწმიდელს მათ მონასტრთა და-არსებისას ხანძთაში და ათონზედ. მარრისა და მაშინდელი რუსეთის დროებითი მთავრობის ცდიოგან, ხელი შეეშალათ ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის, არა გამოვიდა რა, რათგანაც ჯავახიშვილი იღვა მართლაც მტკიცე და მაგარი „ვითარცა გოდოლი“. შემდეგ მათ ტელეგრამით გაახსენებინეს ტფილისში რუსული პოლიტენიკუმში, რომ ჩვენი უნივერსიტეტისათვის მეტოქეობა მაინც გაეწიათ. მაგრამ ვერც ამით მიახწიეს ვერაფერს. 1918 წელს საქართველო დამოუკიდებელი გახდა და თბილისის ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა. — მთელი მასალები ამ მტრობისა ქართული უნივერსიტეტის მიმართ ივ. ჯავახიშვილს შეგროვილი ჰქონდა. იქ ალბათ ბევრი სხვა რამეც არის, რაც არ გაგვიგონია.

1920 წელს დავბრუნდი საქართველოში ევროპითგან, ოთხი წლის განმავლობაში მრავალი ჭირისა, დამცირებისა და შრომის მნახველი, მაგრამ დამოუკიდებლობა მახარებდა და დასვენება მინდოდა ჩემ ქვეყანაში — პირველად ოცი წლის შემდეგ ჩემი ცხოვრებისა. ვნახე ივანე, ბენდიერი, გაბრწყინებული სახით. მისი ქვეყანაც თავისუფალი იყო და მისგან დაარსებული უნივერსიტეტიც, რომლის მეორე რექტორი ის იყო, წარემატებოდა. ივანეს მოეკრიბა მთელი სამეცნიერო ძალები ქართველთა უცხოეთითგან და თვით საქართველოში. ჩვენ უნივერსიტეტს უკვე სამი ფაკულტეტი ჰქონდა და ბიბლიოთეკა 300.000 ტომით! ივანემ მეც მიმიწვია უნივერსიტეტში და და ორი უძნელესი კათედრა ამკიდა — ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ასსიოლოგიისა. ვერავითარმა მტკიცებამ, რომ მე ამას ვერ შევძლებდი, და ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ, რომ ერთი წლით მაინც გადაედვა ჩემი მოწვევა, ვერ გასჭრა. მაშინ ვნახე ივ. ჯავახიშვილის ე.წ. „უინიანობა“, რომელსაც უსაყვედურებდენ, მაგრამ ეს „უინიანობა“ ცუდი თვისებისა კი არ იყო, არამედ იგი სიმტკიცე იყო მკაცრი, კეთილშობილი მიზნის მისახწევად ხმარებული. „დაისვენე ორი თვით და გეყოფა“ —ო, მითხრა მან ისეთი სიმტკიცით, რომ მეტი უარი შეუძლებელი შეიქმნა ჩემთვის და მეც დავმორჩილდი; შევიტანე უნივერსიტეტში ყველაფერი, რასაც წესდება მოითხოვდა, და შევედი ქართველ მეცნიერთა იმ საპატიო წრეში, რომელსაც ეკუთვნოდნენ ისეთი ძალები, როგორც იყო თვით ივ. ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ანდრია რაზმაძე, გრ. წერეთელი, ნათიშვილი და სხვები. და ჩვენი უფროსი და „ბატონი“ იყო ივანე, რომელსაც ბატონობა შეეძლო, და იცოდა ბატონობა არა მარტო როგორც დიდ-გვარიანმა და ჩვეულმა ბატონობას, არამედ როგორც დიდ-სულოვანმა კაცმა. უაღრესად



ტკილი და პატივისმცემელი ყველასი და ყველასაგან პატივ-ცემული, იგი უღმობელად განმკანონებელი იყო აგრეთვე ყველასი, ვინც მის მიერ შექმნილ მეცნიერების ტაძარს უწესობით ან მისთვის სხვა რაიმე ვნების მიყენებით შეურაცხებდა. და მის მსჯავრსა და სასჯელს ყველა სამართლიანად სცნობდა და მორჩილებით იღებდა. და აქაც მაგონდებოდნენ ძველნი დიდნი მამანი, წინამძღვარნი ძველ დიდებულ ქართულ ლავრათა... .

ხან-მოკლე იყო ჩემი ცხოვრება დამოუკიდებელ საქართველოში და ჩემი მუშაობა უნივერსიტეტში. ერთი სემესტრის განმავლობაში ვიკითხე ლექციები ჩემ დარგში და, თუმცა ნიჭით აღსავსე მოწაფეები მყავდა, მაგრამ მათაც ამ მოკლე დროში ხეირიანად ლურსმულის კითხვაც ვერ შევასწავლე, ვინაიდან სულ უკანასკნელი ექვსი სემესტრია საჭირო, რომ ნიჭიერმა კაცმა ეს ძნელი მეცნიერება შეითვისოს. ჩვენი სამშობლოს ცაზედ შავი ღრუბლები გაჩნდა და წარღვნა მოსალოდნელი იყო. ჩვენ მცირე ქვეყანას მფარველი აღარ ჰყავდა. ის სახელმწიფო, რომლის ინტერესიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს შენახვა და გაძლიერება, დამარცხებული იყო. მის ნაცვლად სხვას, საქართველოში შემოსულს იმ დროს, არც თვის პოლიტიკურ პროგრამაში ეწერა საქართველოს შენახვა და გაძლიერება, და თანვე იგი ის იყო, ვისაც არცერთი ერის, თვისი მეზობლისა და თვით მოკავშირისაც პატივისცემა არა აქვს და ინტერესი არა სწამს. თვით ჩვენც, ქართველნი, დასუსტებულნი ბევრი, უკვი საუკუნეთა უბედურობით, სამ წელიწადს ვერ შევძლებდით თითქოს ციფრად ჩამოგარდნილ დამოუკიდებლობის დაცვას. და როდესაც მან, ვისაც არც ჩვენი ინტერესი ჰქონდა და არც გული შესტკიოდა ჩვენთვის, ჯერ შინაგანად დაგვანგრიდა და მერმე ძველ ჯალათს გადაგვცა პოლიტიკურად სასიკვდილად, ჩვენი ეროვნული სხეულის გასანადგურებლად, ეს თითქოს ვერც კი დაინახა დროზედ ქართველობამ, და იმდენი ღზინი რაც მაშინ ვნახე საქართველოში სწორედ ამ უბედურობის მოსალოდნელ დროს, ალბათ მას უბედნიერეს დროსაც არ გადაუხდია თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა — მაგრამ ახლა ღზინი უშვერი, უაზრო, უგემური! და მალე ჯალათიც მოვიდა და ჩაიბარა საქართველო სულის ამოსახდელად... .

უკანასკნელად ვნახე ივანე ჯავახიშვილი ამ ჯალათის მოსვლის რაოდენიმე დღის შემდეგ, უნივერსიტეტში. მის მკვლევარე სახეს რალაც მტკიცე გადაწყვიტილება ეტყობოდა. კვლავ წარმომიდგა ძველი ქართველი კლდის სულის პატრონი, რომელსაც ვერავითარი წამების ხილვა ვერ შეაშინებდა. უსიტყვოდ გამოვეთხოვე. მეც მალე დავტოვე საქართველო სულის გადასარჩენად, როგორც ბევრმა სხვამ, და აღარ მინახავს მას შემდეგ დიდი ქართველი, რომელიც თავის სადარაჯოზედ დარჩა, თუმცა იქოდა, რომ მტარვალისათვის სული საწამებლად უნდა მიეცა.

და მართლაც აწამეს იგი. აწამეს მაშინ, როდესაც პორნდომეს მისი დამცირება და დაუყენეს დილოლემა: ან განადგურება მის მიერ შექმნილი უნივერსიტეტისა, ან ხელის მოწერა წინდაწინ დამზადებულ განცხადებაზედ ჯალათისაგან მოტანილი სისტემის კანონიერად და კეთილად

ცნობისა. ივანე ჯავახიშვილმა ხელი მოაწერა ამ განცხადებას საქართველოს უდიდესი დაწესებულების გადარჩენად, რომელიც მისგან იყო შექმნილი. და მისი სიტყვები იყო თურმე: „ნეტარ ამაზედ ხელი არ მომეწერა და მოვმკვდარ-ვიყავი“. ეს იგივე აშოტ კურაპალატის სიტყვებია: „ნეტარ არს კაცი, რომელი არღარა ცოცხალ არს“—ო, სხვა პირობებში და სხვა მიზეზით თქმული, მაგრამ იგივე გულის-სიმწრით თქმული სიტყვები. მან განაგრძო თვისი უნივერსიტეტის მოვლა, მიუხედავად იმისა, რომ იგი რექტორი აღარ იყო, არამედ რექტორად ვილაც ოხრებსა ნიშნავდნენ ქართული უნივერსიტეტის დასამცირებლად, და გაიმარჯვა თვის ბრძოლაში: უნივერსიტეტი მიუხედავად ყოველივე შეიწროებისა თავის სიმალლეზედ დარჩა. მას დიდი მტრობა შეხვდა იმ შემოხსენებულ პირთაგან, რომელთაც მას შემდეგ მეცნიერული ომიც გამოუცხადეს. იგინი უშლიდნენ ხელს, რომ რუსეთში წაღებული საქართველოს კულტურის ძეგლები საქართველოშივე ყოფილიყო გადმოტანილი. ჯავახიშვილმა აქაც გაიმარჯვა. ეს ძეგლები გადმოიტანეს საქართველოში. და იგი ბოლოს აწამეს ამ რამოდენიმე წლის წინად, როდესაც მისი ამხანაგების დახოცვის შემდეგ სახეიმო სხდომა გამართეს ჯალათებმა და ჯავახიშვილი იძულებული იყო სხდომას დასწრებოდა და სიტყვა ეთქვა. შემდეგ იგი აღარც სამსახურში იყო. მის უკანასკნელ ენერჯიას იგი სწირავდა თვისი დიდი სამეცნიერო გეგმის აღსრულებას. ეს მას არ დასცალდა. და ვის დასცლია თვისი მიზნის სავსებით მიხწევა, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, რომელშიაც იღვწოდა ჯავახიშვილი თვისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში. იგი 64 წლისა ვარდაიცვალა, — ხანი, რომელიც მეცნიერისათვის მოხუცებულობისა არ არის, და ისე, რომ საქართველოს მტრებმა ვერ შესძლეს ეს უბრწყინვალესი ვარსკვლავი ჩვენი სამშობლოს ციფრად მათი ბინძური ცოცხით ჩამოეგდოთ, ან მისთვის მური მინც წაეცხოთ. იგი ამისთვის ფრიად დიდი აღმოჩნდა. ვერ მოერივნენ. და მლიქვნელებმა თითქოს პატივითაც კი ალავსეს იგი, ვისაც არც პატივი უნდოდა მათი და არც ის, რომ ოდესმე ეხილნა იგინი.

განისვენე, ძვირფასო და დიდო ივანე, საუკუნოდ იმ ქართველთა შორის, რომელნიც შენსავით არიან შემკულნი ღვაწლისა და წამების გვირგვინით. შენი ადგილი დიდ ილიასთან არის, რომელმაც შენზედ ადრე მიიღო ჯილდოდ დიდი ღვაწლისა იგივე გვირგვინი. ძეგლი, რომელიც ალიგე შენ, მხილვემან, განმცდელმან და მგრძობმან საქართველოსა ოც-და-ათი საუკუნის სიგრძეზედ, ჯალათთა ბატონობისა და ყოველივე სხვა უკეთურებისა ჩვენ ქვეყანაში უფროის ხანგრძლივი იქმნება, — იგი მარადისი იქმნება, — და ჩვენც ვნატრიდეთ, რომ შენი დიდი პიროვნებაც, აღსავსე მოქალაქობრივი სიმამაცითა და კეთილშობილებითა და დიდი მოწამის სულის მატარებელი სიცოცხლეში, — პიროვნება შენი, რომელიც შენი მეცნიერების ზრდასთან ერთად იზრდებოდა და დიდდებოდა, ქართველ მოქალაქეთა და მოღვაწეთა თვალის წინ მომევალ თაობათა მარადის უკვდავ სახედ ყოფილიყოს აღმართული!

4-941